

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 30 მაისის #119/01/01 ბრძანების საფუძველზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე პროფესორის (კატეგორია „ბ“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების მე-8 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №97/2023 დადგენილების საფუძველზე ჩატარებული

### სხდომის შემაჯამებელი ოქმი დამატებითი

ქ. თბილისი 17 ნოემბერი 2023 წელი

თსუ II კორპუსი, ოთახი 107.

სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. გურამ ქუთელია – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. დავით შენგელია – აკადემიკოსი, თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, მინერალოგიის, გეოქიმიისა და ლითოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
4. სულხან გველესიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. მარიამ ახალკაციშვილი – თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის N: 97/2023 დადგენილების თანახმად შემაჯამებელი ოქმის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის” მოთხოვნათა დაცვით წარდგენა საკონკურსო-სააპელაციო კომისიისა და უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნ. ფოფორაძის ინფორმაცია საკონკურსო-სააპელაციო კომისიისა და უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. კომისიის მიერ შესრულებული სამუშაო მოითხოვს გადახედვას, რათა გაანალიზებული იქნას, რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინა და მოახდინა თუ არა გამოვლენილმა საკითხებმა მიღებულ გადაწყვეტილებებზე და აგრეთვე, ხსენებულიდან გამომდინარე, კომისიის საქმიანობის შედეგები რა ნაწილშია გადასახედი ან პროცედურების რა ეტაპი/ეტაპებია ხელახლა განსახორციელებელი.

კომისიისთვის მოცემული შენიშვნების გაანალიზებისა და მათი გათვალისწინების საფუძველზე, სხომაზე აღინიშნა, რომ რომ საკონკურსო დოკუმენტაცია შეფასდა კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4, დადგენილება #45/2017, 01.05.2017) კონკურსანტების მიერ კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მოუხედევად იმისა, რომ კომისია პირველი ეტაპის შეფასებებს კვლავ ეთანხმება, გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, კომისია ერთხმად მიიჩნევს, რომ აუცილებელია რომ დასაბუთება უფრო დამაჯერებელი იყოს: გასაუბრების ეტაპის განალიზების საფუძველზე, კომისია კვლავ იმავე პოზიციაზე დარჩა რაც გააჩნდა ამ პროცედურის ჩატარების შედეგად, თუმცა, აქაც, კომისიამ ერთხმად მიიჩნია, რომ მეტი დეტალიზება უკეთ წარმოაჩენს კომისიის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების მართებულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ კენჭისყრის პროცედურის ჩატარება აუცილებლობას არ წარმოადგენს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში აუცილებელია მეტი არგუმენტაცია, რაც მითითებული იქნა კიდევ კომისიისთვის აკადემიური საბჭოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისია აღნიშნავს, რომ საკონკურსო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა თამარ წუწუნავას ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება /პედაგოგიური გამოცდილება 26 წელი/, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურის და სასწავლო პროცესის სიღრმისეულ ცოდნა. დეტალურად განიხილა მის მიერ წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევითი საგნების სილაბუსები, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია გეოლოგიის საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და სწავლის ფორმასთან. აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი 10 სილაბუსიდან 6 სავალდებულო კურსებისაა.

თ. წუწუნავა აქტიური მეცნიერ-მკვლევარია, რომელიც აქვეყნებს კვლევის შედეგებს მაღალრეიტინგულ გამოცემებში და წარმოადგენს მათ სამეცნიერო-საერთაშორისო ღონისძიებებში. მის მიერ წამოდგენილი პუბლიკაციები დარგის შესაბამისია და მაღალ დონეზეა შესრულებული.

თ.წუწუნავას მიერ პირველად იქნა შემოტანილი საქართველოში ანქიმეტამორფიზმი, როგორც დაბალტემპერატურული მეტამორფიზმის ერთ-ერთი მიმართულება. ამ მიმართულებით, პირველად კავკასიაში, მის მიერ ჩატარდა კვლევები.

თ.წუწუნავა 2015 წლიდან არის თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის ათწლიანი სამეცნიერო პროგრამის „საქართველოს დედამიწის ქერქის აგებულების, შედგენილობისა და ტექტონიკური დეფორმაციების კვლევა და მადანწარმოშობის კანონზომიერებათა გამოვლენა კავკასიის გეოდინამიკურ ევოლუციასთან კავშირში“ თანახელმძღვანელი აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძესთან ერთად (დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, უცხოელი ექსპერტების რეცენზირების საფუძველზე). პროგრამა მოიცავს კვლევებს გეოლოგიის მიმართულებების ფართო სპექტრით, მათ შორის პეტროლოგიის, მინერალოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის მიმართულებით.

თ.წუწუნავას მეცნიერული მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით, იგი კავკასიის გეოლოგიის მკვლევარი მეცნიერია.

თ.წუწუნავა აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ბოლო 6 წელიწადში 26 სამეცნიერო კონფერენცია). მის მიერ საერთაშორისო კონფერენციებზე (მადრიდში და ამსტერდამში) წარდგენილ მოხსენებებს კონფერენციების სამეცნიერო კომიტეტების მიერ მიენიჭა საუკეთესო მოხსენების სტატუსი.

თ.წუწუნავს დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის მეცნიერულ-ტექნიკური თარგმნის განყოფილება, მიენიჭა ინგლისური ენის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელის პროფესია.

წარმოდგენილ კონცეფციაში თ. წუწუნავა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციაზე, დეპარტამენტსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ცენტრებს შორის კავშირის აუცილებლობაზე. მას დეტალურად აქვს წარმოდგენილი ამ მიმართულებით განსახორციელებელი ქმედებები და ეტაპები. კონკურსანტის მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

ბოლო 6 წლის მანძილზე თ. წუწუნავა იყო 2 დოქტორანტის ხელმძღვანელი /ერთი დაცული დისერტაციის ხელმძღვანელი/, სადისერტაციო დაცვის საბჭოებისა და კომისიის წევრი, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციებისა და იუბილეების სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტების თავმჯდომარე და წევრი, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის (WASET) სამეცნიერო კომიტეტის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი; არის გეოლოგიასა და მის მომიჯნავე დარგებში პირველი ტერმინოლოგიური და ნახევრადგანმარტებითი ლექსიკონის, „გეოლოგიის ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი“-ის რედაქტორი და ერთ-ერთი შემდგენელი, ლოქის კრისტალური მასივის გეოლოგიური და მეტამორფული ფაციესების რუკების (მასშტაბი 1:50 000) ერთ-ერთი ავტორი. მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი „გეოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისა და ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში თამარ წუწუნავას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორია, სადაც სრულდება სამაგისტრო და სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი კომპონენტი. აქვე ტარდება პოპულარული ლექციები ახალგაზრდა თაობის გეოლოგიის დარგითა და თსუ-ში სწავლით დაინტერესების მიზნით სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისთვის.

თამარ წუწუნავასთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების განვითარების სწორი ხედვა. აღინიშნა ახალგაზრდა მკვლევარების ჩართვის აუცილებლობა სასწავლო-კვლევით და საერთაშორისო პროექტებში.

თამარ წუწუნავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, კონცეფციისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით, ასევე მისი პიროვნული და პროფესიული თვისებების, უნარ-ჩვევებისა და გუნდური მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, კომისიამ მთლიანობაში ნათლად დაინახა თამარ წუწუნავას უპირატესობა. თამარ წუწუნავას გააჩნია ორმოცწლიანი სამეცნიერო და ოცდაექვსწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. იგი 2009 წლიდან ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია, აქვს სამეცნიერო კვლევების წარმოების, ადმინისტრირებისა და ორგანიზების დიდი გამოცდილება. მისი გამოცდილება და შესაძლებლობები ხელს შეუწყობს კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის შემდგომ განვითარებას.

**ავთანდილ ოქროსცვარიძის სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილება** (11 წელი) დარგის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილია 10 სილაბუსი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს, კერძოდ, ნაწილობრივ შესაბამისობაშია გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების თემატიკასთან და სწავლის ფორმასთან და ასევე არ შეესაბამება სილაბუსის ფორმას. თსუ-ში მოქმედი პროგრამების შესაბამისად, შეიძლება განხილული იყოს 3 სილაბუსი, რომლებიც თსუ გეოლოგიის პროგრამაში თემატიკით და სწავლის ფორმით ასევე განსხვავებულია.

ა.ოქროსცვარიძის კვლევა მოიცავს ოროგენული მაგმატიზმის პეტროლოგიასა და სასარგებლო წიაღისეულის ფორმირების ფაქტორებს. მისი სამეცნიერო პროდუქტიულობა მაღალია, სამეცნიერო პოტენციალი ჩანს წარმოდგენილი პუბლიკაციებით, მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებსა და საერთაშორისო გამოცემებში, მონოგრაფიებითა და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში.

წარმოდგენილი ნაშრომში „თორიუმი - მომავლის ენერჯია და მისი მადანგამოვლინებები საქართველოში“, განხილულია თორიუმის ენერგოშესაძლებლობები და მისი გამოყენების პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ ამ სახის სამუშაოები სრულყოფილად საქართველოში თორიუმის შემცველობის დასადგენად მანამდე არ ჩატარებულა. ავტორთა მიერ შესწავლილია საქართველოს რეგიონები, სადაც შესაძლებელია თორიუმის მადანგამოვლინებების არსებობა და ჩატარებულია კვლევა იშვიათი ელემენტების მინერალიზაციასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილ კონცეფციაში ა.ოქროსცვარიძე ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შექმნაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, გეოლოგიის პროპაგანდაზე, სამეცნიერო პროექტების კონკურსებში მონაწილეობის აუცილებლობაზე.

ავთანდილ ოქროსცვარიძის ხელმძღვანელობით ბოლო 6 წლის განმავლობაში დაცული იქნა 8 სამაგისტრო <https://eprints.iliauni.edu.ge/view/divisions/Azrebi=2Ege> <http://conference.sens-2023.tsu.ge/page/program/25/> და 7 საბაკალავრო ნაშრომი. ამჟამად იგი 3 სადოქტორო დისერტაციას ხელმძღვანელობს.

ა.ოქროსცვარიძეს მიღებული აქვს ჯილდოები: იუნესკოს (UNESCO) გეოლოგიური მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის (IUGS) ჯილდო სავლე შეკრებებისა და სამეცნიერო სესიების წარმატებული ორგანიზებისათვის; საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებული პუბლიკაციისთვის: „დამოუკიდებლობიდან-თავისუფლებისაკენ: საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი“; მონოგრაფიისათვის: „კავკასიონის ჰერცინული გრანიტოიდული მაგმატიზმი“ მას მიენიჭა ალ. ჯანელიძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემია.

წიგნისათვის: „Geotourism Potential of Georgia, The Caucasus“, როგორც თანაავტორს მიენიჭა ალ. თვალჭრელიძის სახელობის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემია.

ა. ოქროსცვარიძე არის რამოდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანების წევრი, მათ შორის: „ევროგრანიტის“ (EG), „ევროპის გეო- მეცნიერთა კავშირის“ (EGU), „ევროპის გეოქიმიკოსთა ასოციაციის“ (EGA), „თორიუმის ენერჯის ალიანსის“ (TEA) და „მდგრადი განვითარების საერთაშორისო საზოგადოების“ (TSDS).

გასაუბრებაზე ა.ოქროსცვარიძემ ყურადღება გაამახვილა განხორციელებულ სამეცნიერო პროექტებზე, დარგში არსებულ პრობლემებზე, საერთაშორისო კავშირებზე და ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის (1 ადგილი) კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე თამარ წუწუნავას გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისთვის საჭიროა ჩატარდეს კენჭისყრა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის ყველა წევრი.

მომხრე – 5 წინააღმდეგი – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

#### დაადგინეს:

1. კენჭისყრის საფუძველზე ძალაში დარჩა აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების მე-8 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის 2023 წლის 24 ივლისის შემაჯამებელი სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.


თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის (1 ადგილი) კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა:

**თამარ წუწუნავა**

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა,  
/პროფესორი, ბ კატეგორია/

2. შემაჯამებელი ოქმი დამატებითი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.


ნოდარ ფოფორაძე (კომისიის თავმჯდომარე);



გურამ ქუთელია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)



დავით შენგელია (კომისიის წევრი)



სულხან გველესიანი (კომისიის წევრი)

მარიამ ახალკაციშვილი (კომისიის მდივანი)

